

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**CD-ROM – ებზე არსებული ელექტრონული რესურსების
ბიბლიოგრაფიული აღწერილობა**

მეთოდური რეკომენდაციები

შეადგინა ავთანდილ ჩხენკელმა

თბილისი
2002

შეთანხმებულია

დავით მჭედლიშვილი

რუსუდან დანელია

თეიმურაზ ჩხენკელი

ავტომატიზაციის განყოფილების გამგე

სპეციალური კოლექციებისა და ინტერნეტით

მომსახურების განყოფილების გამგე

ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი

დაამტკიცა

ლევან ბერძენიშვილი

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკის

გენერალური დირექტორი

შესავალი

წინამდებარე მეთოდური სახელმძღვანელოს დანიშნულებაა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული CD-ROM – ებზე არსებული ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერა, შენახვის შიფრების მიწერა და მკითხველის მომსახურებისათვის საჭირო მონაცემების განსაზღვრა. იგი შედგენილია ელექტრონული რესურსებისათვის საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის (ISBD(ER): International Standard Bibliographic Description for Electronic Resources) მიხედვით.

განსაზღვრებანი

ელექტრონული რესურსები მოიცავს მასალებს, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერის დახმარებით, იმ მასალების ჩათვლით, რომელთა გამოსაყენებლად მოითხოვება დამატებითი პერიფერიული მოწყობილობების (მაგ. CD-ROM – ის ამძრავის) მიერთება კომპიუტერთან.

კომპაქტ-დისკი (Compact Disk) არის ინფორმაციის ოპტიკური (ლაზერული) მატარებელი, ხისტი, მოხსნადი და გადატანადი, რომელშიც ინფორმაციის ჩაწერა და აღწარმოება ხდება ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენებით. გავრცელებულია ორი ტიპის კომპაქტ-დისკი: **მუსიკალური კომპაქტ-დისკი** (CD-DA – Compact Disk Digital Audio და **სიდი-რომი** (CD-ROM – Compact Disk Read - Only Memory), რომლის დანიშნულებაა დიდი მოცულობის (550 მბაიტი და მეტი) ელექტრონული რესურსების (ბგერითი, ტექსტური, უზრავი და მოძრავი გამოსახულების და სხვა.) შენახვა და აღწარმოება კომპიუტერის გამოყენებით. ვინაიდან მუსიკალური კომპაქტ-დისკები (CD-DA) ძალიან გავრცელებულია და მათ, როგორც წესი, უბრალოდ კომპაქტ-დისკებს უწოდებენ, ამიტომ, იმ კომპაქტ-დისკებს, რომელთა გამოყენება კომპიუტერის გარეშე შეუძლებელია, **ოპტიკურ დისკებს** (Optical Disk) უწოდებენ.

ინფორმაციის წყაროები

ელექტრონული რესურსის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას ინფორმაცია აღებულ უნდა იქნეს ინფორმაციის დაწესებული წყაროებიდან დაწესებული მიმდევრობით. **ელექტრონული რესურსის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა სრულდება იმ ენაზე, რომელზეც არის მოყვანილი დოკუმენტში.**

ინფორმაციის წყაროთა დაწესებული მიმდევრობა

უპირატესობა ენიჭება ელექტრონული რესურსშივე არსებულ ინფორმაციას. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს მოყვანილი სატიტულო ეკრანზე, ძირითად მენიუში, პროგრამის დებულებებში, პირველ საინფორმაციო ეკრანზე, ფაილის თავსათაურში "Subject:" სტრიქონის ჩათვლით, ჰოუმპეიჯზე, TEI თავსათაურში, ან ცხადად გამოსახულ სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციაში.

როდესაც ელექტრონული რესურსის შიგნით არსებული ინფორმაცია არასაკმარისია ან არ არსებობს, შეირჩევა სხვა ინფორმაციის წყაროები შემდეგი მიმდევრობით:

- ა. ელექტრონული რესურსის ფიზიკურ მატარებელზე მუდმივად დაკრული ან ამოებჭდილი ეტიკეტები;
- ბ. დოკუმენტაცია, კონტეინერები, ან სხვა თანდართული მასალა. როდესაც კონტეინერში მოთავსებულია რამოდენიმე აღსაწერი ერთეული და მხოლოდ კონტეინერზეა მოყვანილი კოლექტიური სათაური, გამოიყენება კონტეინერი.

როდესაც ელექტრონული რესურსი შედგება ორი ან მეტი განცალკევებული ფიზიკური ნაწილისაგან და ყოველ მათგანს საკუთარი ინფორმაციის წყარო გააჩნია, უპირატესობა ენიჭება წყაროს, რომელიც იძლევა ინფორმაციას მთლიანად რესურსზე და რომელიც შეიცავს კოლექტიურ სათაურს.

ძირითადი სათაურისათვის ყველა შემთხვევაში სავალდებულოა ინფორმაციის წყაროს მითითება.

ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტრუქტურა

სფერო	ელემენტების წინამდებარე (ან გამმიჯვნელი) დაწესებული პუნქტუაცია	ელემენტი
შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -).		
1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო	[] = : /	1.1 ძირითადი სათაური 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არასავალდებულო) *1.3 პარალელური სათაური *1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ
2. გამოცემის სფერო		2.1 ცნობები გამოცემის შესახებ
3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო		3.1 რესურსის აღნიშვნა
4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და ა.შ. სფერო	: ,	4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი *4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. 4.3 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი
5.ფიზიკური აღწერილობის სფერო	: ;	5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მისი რაოდენობა 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები 5.3 აღწერის ერთეულის ზომები

	+	*5.4 ცნობები თანმხლები მასალის შესახებ (არასავალდებულო)
6.სერიის სფერო		6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური
	,	*6.2სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური
		6.3 სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი
	;	6.4 ნუმერაცია სერიის ან ქვესერიის შიგნით.
7.შენიშვნების სფერო		
8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო		8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი
	:	8.2 ხელმისაწვდომობის პირობები ან ფასი (არასავალდებულო)

ზოგადი შენიშვნები ISBD(ER)-ს სქემაზე

- A. არასავალდებულო ელემენტები აღნიშნულია, როგორც ასეთები.
- B. ვარსკვლავით (*) მონიშნული ელემენტების გამეორება შესაძლებელია საჭიროებისამებრ.
- C. სფეროების 6 (სერია), 7 (შენიშვნები) და 8 (სტანდარტული ... ნომერი) გამეორება შესაძლებელია საჭიროებისამებრ. სფერო 5 (ფიზიკური დახასიათება) აგრეთვე შეიძლება გამეორდეს ზოგიერთ შემთხვევაში (იხ. სფერო 5 შესავალი ნაწილი).

აღწერილობის ელემენტების მოკლე დახასიათება

1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

1.1 ძირითადი სათაური

1.1.1 ძირითადი სათაური არის აღწერილობის პირველი ელემენტი, მაშინაც კი, როდესაც მას წინ უძღვის ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ცნობებები პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობები გამოცემის შესახებ, სერიის ცნობები, ცნობები გამოქვეყნების/გავრცელების შესახებ, დრო, ფასი და სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის სათაურის ნაწილი.

მაგ., Netware [Electronic resource]

1.1.2 ძირითადი სათაური არის აღწერის ერთეულის მთავარი სათაური. ძირითად სათაურს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა.

1.1.2.1 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ტერმინ(ებ)ისაგან, რომელიც მიუთითებს ნაშრომის ტიპს ან მის ინტელექტუალურ ან მხატვრულ შინაარსს.

მაგ. Survey data [Electronic resource]

1.1.2.2 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს პიროვნების სახელისაგან ან ორგანიზაციის სახელწოდებისაგან, როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო არ შეიცავს სხვა სათაურს ამ სახელის გარდა.

მაგ. Dian Fossey [Electronic resource]

International Summer School on Computational and Mathematical Linguistics [Electronic resource]

1.1.2.3 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ან შეიცავდეს ინიციალებს ან აკრონიმს, რომლებიც ცხადადაა გამოსახული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ. BASIC [Electronic resource]

1.1.2.4 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ორი ნაწილსაგან (რომელთაგან თითოეული შეიძლება ჩაითვალოს სათაურად) ურთიერთდაკავშირებული სიტყვით "ან" (ან მისი ეკვივალენტით სხვა ენაზე).

მაგ. Space zone, or, The quest for Cleopatra [Electronic resource]

1.1.2.5. ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ცნობებებს პასუხისმგებლობის შესახებ, გამომცემლის სახელს ან დეტალებს დაკავშირებულს სხვა აღწერით ელემენტებთან (მაგ. ცნობებებს გამოცემის შესახებ) როდესაც ასეთი ინფორმაცია ენობრივად არის სათაურის არსებითი ნაწილი.

მაგ. Joe Lynn's payroll system [Electronic resource]

1.1.2.6 როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ორ ან მეტ ინდივიდუალურ ნაშრომს და აქვს კოლექტიური სათაური, ისევე როგორც ინდივიდუალური ნაშრომის სათაური, ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, კოლექტიური სათაური არჩეული იქნება ძირითად სათაურად.

ინდივიდუალური ნაშრომის სათაურები მოცემულია სფერო 7-ში.

მაგ. Winter games [Electronic resource]

Contents: Hit the slopes ; Hit the ice

1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არასავალდებულო)

1.2.1 ტერმინი მიუთითებს იმ მასალათა კლასს, ფართო გაგებით, რომელსაც განეკუთვნება აღწერის ერთეული. მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ძირითადი სათაურის შემდეგ. როდესაც აღწერის ერთეული მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს ძირითადი სათაურის გარეშე, მაშინ მასალის ზოგადი აღნიშვნა იწერება უშუალოდ პირველი სათაურის შემდეგ.

მაგ., Compton's multimedia encyclopedia [Electronic resource]

1.2.2 მასალის ზოგადი აღნიშვნის დამატება განსაკუთრებით სასრგებლოა არაწიგნადი მასალებისათვის, რომლებიც შედიან საერთო კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიებში.

1.2.3 როდესაც აღწერის ერთეული შედგება ძირითადი კომპონენტისა და დამატებითი კომპონენტ(ებ)ისაგან, რომლებიც სხვადასხვა ზოგად კატეგორიას მიეკუთვნება (მაგ. ელექტრონულ რესურსს თან ახლავს ცნობარი და კედლის ტრანსპარანტი), მასალის ზოგადი აღნიშვნა განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად კომპონენტს.

1.2.4 როდესაც აღწერის ერთეული შედგება ორი ან მეტი ნაშრომისაგან ძირითადი სათაურის გარეშე, მასალის ზოგადი აღნიშვნა ჩაიწერება პირველი სათაურის შემდეგ.

1.3 პარალელური სათაურები

როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში არის სათაურები ორ ან მეტ სხვადასხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, სათაურ(ებ)ი, რომელიც არ იქნება შერჩეული ძირითად სათაურად გადაიწერება აღწერილობაში, როგორც პარალელური სათაურ(ებ)ი.

მაგ. Beyond horizons [Electronic resource] = Allende los horizontes

1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ

სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ შეიძლება არსებობდეს ძირითად სათაურთან, პარალელურ სათაურებთან, აღწერის ერთეულში შემავალ ინდივიდუალური ნაშრომების სათაურებთან კავშირში და დაქვემდებარებაში. სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ განსაზღვრავს, ხსნის ან აბოლოებს სათაურს, რომლისთვისაც იგი გამოიყენება ან მიუთითებს აღწერის ერთეულის ან მასში მოთავსებული ნაშრომების ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ., ან მიუთითებს მოტივს, შემთხვევას, რისთვისაც შეიქმნა ეს პუბლიკაცია.

1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

1.5.1 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შესაძლებელია მოცემული იყოს იმ პიროვნების ან ორგანიზაციის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ან წვლილი მიუძღვის აღწერის ერთეულში შემავალი ნაშრომის ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნაზე.

1.5.2 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაკავშირებული იყოს: მწერლებთან, პროგრამისტებთან, ძირითად მკვლევარებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, ანიმატორებთან და ა.შ., რომელთა ნაშრომი შესულია აღწერის ერთეულში უშუალოდ (მაგ. ტექსტის ავტორი, რედაქტორი, შემდგენელი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, კომპოზიტორი და ა.შ.) ან არაპირდაპირ (მაგ. იმ ნაშრომის ავტორი, რომელზეც არის დაფუძნებული პროგრამა); უკვე არსებული ნაშრომის ადაპტირების ავტორებთან, იმავე თუ სხვა ფიზიკურ მატარებელზე, რომელზეც ორგინალია; რომელიმე ზემოთ ნახსენები ნაშრომის სპონსორ ორგანიზაციებთან ან პირებთან.

გარდა ამისა, ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ელექტრონული რესურსის შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს რესურსის შემქმნელსა და დიზაინერთან (მაგ. თამაშის შემქმნელი დიზაინერი). მათ მიეკუთვნება, აგრეთვე, ისინი, ვისაც მიენიჭება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კონკრეტულ რესურსთან ან კონკრეტული ტიპის რესურსთან დაკავშირებით (მაგ. მონაცემთა დამუშავების პროექტის დირექტორი, ვიდეო-დირექტორი).

ცნობები პასუხისმგებლობის შესახები არ ჩაიწერება, როდესაც აღწერის ერთეულში არ არის ასეთი მონაცემები.

2. გამოცემის სფერო

2.1 ცნობები გამოცემის შესახებ

2.1.1 ცნობები გამოცემის შესახებ საზოგადოდ შეიცავენ სიტყვას "გამოცემა" (ან მის ეკვივალენტს სხვა ენაზე). მასთან დაკავშირებული ტერმინები, როგორცაა "ვარიანტი", "ვერსია", "დონე", "გამოშვება" ან "რედაქცია" მიუთითებს ცნობებზე გამოცემის შესახებ.

ცნობები გამოცემის შესახებ შესაძლებელია შეიცავდეს აგრეთვე ტერმინს, რომელიც მიუთითებს სხვა გამოცემისაგან განსხვავებას (მაგალითად "ახალი გამოცემა", "გადამუშავებული გამოცემა" და ა.შ.) ან სხვა ფრაზებს, რომლებიც შეიძლება იყოს ენობრივად ურთიერთდაკავშირებული, რომლებიც აკავშირებს გამოცემას სხვა აღწერის ელემენტებთან (მაგ. შემდეგი ფორმის ორიგინალური სათაური: "... -ის ახალი გამოშვება ").

როდესაც ელექტრონულ წყაროს გააჩნია რამოდენიმე ცნობა გამოცემის შესახებ, დაკავშირებული აღწერის ერთეულის ნაწილებთან (მაგ. ურთიერთდაკავშირებული მულტიმედიის ნიმუში), ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში გადაიწერება ცნობა(ები) დაკავშირებული აღწერის ერთეულთან, როგორც ერთიანობასთან. როდესაც არ არის არც

ერთი ცნობა, რომელიც ეხება აღწერის ერთეულს, ცნობები შესაძლებელია იყოს მოცემული სფერო 7-ში.

2.1.2 ცნობები გამოცემის შესახებ გადაიწერება აღწერილობაში იმ სახით და სიტყვებით, როგორც ისინი გვხვდებიან აღწერის ერთეულში. ცნობები ჩაისმება კვადრულ ფრჩხილებში თუ ისინი არ გვხვდებიან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, შესაძლებელია სტანდარტული აბრევიატურის გამოყენება. არაბული ციფრები ჩაისმება სხვა ციფრების ან სიტყვიერად გამოსახული რიცხვების ნაცვლად. ცნობებს გამოცემის შესახებ, შესაძლებელია დაერთოს ბოლოში განმარტებითი ფრაზები, როდესაც ისინი ჩაითვლება აუცილებლად გამოცემის იდენტიფიკაციისათვის (იხ. 2.3.3).

მაგ. CyberOffice for administrative personnel [Electronic resource]. - Windows 95 ed.

TAPESCAN [Electronic resource] / principal programmer, William C. Daland. - Version 3.5

2.1.3. როდესაც ცნობები გამოცემის შესახებ არ არის მოცემული აღწერის ერთეულში, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ აღწერის ერთეული შეიცავს წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებებს, შესაძლებელია სათანადო ცნობების მოყვანა ინფორმაციის დაწესებული წყაროს ენაზე და 2.1.2-ის შესაბამისად, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. [New ed.]

. - [Apr. 1995 issue]

3. წყაროს ტიპისა და მოცულობის აღნიშვნის სფერო

წინასწარი შენიშვნა

ქვემოთ მოყვანილი დებულებები აღწერენ ელექტრონული წყაროს ძირითად მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები შეიცავენ: (ა) წყაროს ტიპის აღნიშვნას, და (ბ) ინფორმაციას წყაროს მოცულობაზე.

3.1 წყაროს აღნიშვნა

წყაროს აღნიშვნა მიუთითებს ნაშრომის შემადგენელი წყაროს გარკვეულ ტიპს და მოცემულია ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ენაზე.

3.1.1 როდესაც ელექტრონული წყარო შედგება მონაცემებისაგან, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შეიძლება წყაროს იდენტიფიცირებისათვის შეარჩიოს ტერმინი "ელექტრონული მონაცემები" ან "მონაცემები" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ბიბლიოგრაფიულ აღწერაში); ან ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს მონაცემების გარკვეული ტიპი.

მაგ.

. - ელექტრონული ტექსტური მონაცემები

. - ელექტრონული რუქა

. - ელექტრონული ბგერითი მონაცემები

3.1.2 როდესაც ელ.წყარო შედგება პროგრამის(ებისაგან) ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შესაძლებელია აირჩიოს წყაროს იდენტიფიცირებისათვის ტერმინი "ელექტრონული პროგრამა(ები)" ან "პროგრამა(ები)" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში). ან, სააგენტოს შეუძლია მიუთითოს პროგრამის განსაკუთრებული ტიპი.

მაგ.

- ელექტრონული გამოყენებითი პროგრამა
- ელექტრონული მონაცემთა ბაზის პროგრამა
- ელექტრონული სისტემური პროგრამები

3.1.3 როდესაც ელექტრონული წყარო შედგება მონაცემებისა და პროგრამებისაგან, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შეიძლება აირჩიოს მისი იდენტიფიცირებისათვის ტერმინი "ელექტრონული მონაცემები და პროგრამები" ან "მონაცემები და პროგრამა(ები)" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერაში). ან, სააგენტოს შეუძლია მიუთითოს მონაცემებისა და პროგრამის განსაკუთრებული ტიპი.

მაგ.

- ელექტრონული ანგარიშისა მონაცემები და ცხრილის პროგრამა
- ელექტრონული დოკუმენტი და ტექსტის კორექტურის პროგრამა
- ელექტრონული დიალოგური სერვისის ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა

4. გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ცნობების სფერო.

4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი

4.1.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი არის ქალაქი ან სხვა ადგილი, რომელიც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში დაკავშირებულია გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელთან.

4.1.4 შესაძლებელია მეორე ან შემდგომი ადგილის მოყვანა.

4.1.5 როდესაც მეორე ან შემდგომი ადგილი გამოტოვებულია, ეს შესაძლებელია მითითებული იყოს "და ა.შ."-ით ან მისი ეკვივალენტით სხვა ენაზე, კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. . - Toronto [etc.]

4.1.6 როდესაც მოცემულია ერთზე მეტი გამომცემელი ან მწარმოებელი, გამოცემის ადგილი ყოველი გამომცემლის ან მწარმოებლისათვის მოცემული უნდა იყოს უშუალოდ სახელის წინ.

მაგ. . - New York : Columbia University ; Boston : Computer Research Institute

4.1.7 როდესაც მოცემულია გამომცემელიც, მწარმოებელიც, გამავრცელებელიც და ა.შ., გავრცელების ადგილი ჩაიწერება ცნობებში თუკი ის განსხვავებულია გამოქვეყნების და ა.შ. ადგილისაგან.

მაგ.. - Washington (D.C.) : U.S. Bureau of the Census ; Rosslyn (Va.) : distributed by DUALabs

4.1.8 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი ჩაიწერება იმ ორთოგრაფიული და გრამატიკული ფორმით, როგორც ის მოცემულია წყაროში.

მაგ. . - V Praze

4.1.9 თუ ჩაითვლება, რომ იდენტიფიკაციისათვის საჭიროა დამატებით ისეთი მახასიათებელი, როგორცაა ქვეყნის, შტატი და ა.შ. სახელწოდება, იგი შესაძლებელია დაემატოს გამომცემლობის, წარმოების ან გავრცელების ადგილს. იგი ჩაისმება ფრჩხილებში თუ აღებულია უშუალოდ ინფორმაციის დაწესებულ წყაროდან ან კვადრატულ ფრჩხილებში, თუ გადაიწერება სხვა წყაროდან.

მაგ.

. - Cambridge (Mass.)

. - Santiago [Chile]

4.1.13. როდესაც გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილი არსად არ არის მოხსენებული წყაროში, მაგრამ იგი ცნობილია, ამ ქალაქის სახელწოდება ჩაიწერება კვადრატულ ფრხილებში. თუ ქალაქი ზუსტად არ არის ცნობილი, ან უცნობია, შესაძლებელია ქალაქის სახელწოდების მოყვანა კითხვის ნიშნით, კვადრატულ ფრხილებში.

მაგ.

. - [Paris]

. - [Prague?]

4.1.14 როდესაც ქალაქის სახელწოდების მოყვანა შეუძლებელია, ჩაიწერება შტატის, პროვინციის ან ქვეყნის სახელწოდება, იმავე წესებით, როგორც ქალაქების სახელწოდებებისათვის.

მაგ.

. - Canada

. - [Surrey]

. - [France?]

4.1.15 როდესაც ადგილის მოყვანა შეუძლებელია, მოცემული უნდა იქნეს აბრევიატურა "s.l." (sine loco) ან მისი ეკვივალენტი სხვა დამწერლობით, კვადრატულ ფრხილებში.

მაგ. . - [S.l.]

4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ.

4.2.1 როდესაც ერთზე მეტი გამომცემელი ან მწარმოებელი არის მოხსენებული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, ჩაიწერება ის სახელი (სახელწოდება), რომელიც გამოყოფილია ტიპოგრაფიით, თუ ტიპოგრაფიული განსხვავება არ არის, ჩაიწერება პირველი მოცემული სახელი. თუ ტიპოგრაფიული განსხვავება და სახელთა ჩამონათვალი არ არის, ჩაიწერება ის სახელი (სახელწოდება), რომელსაც ბიბლიოგრაფიული სააგენტო ჩათვლის ყველაზე მნიშვნელოვანად.

4.2.2 შესაძლებელია მეორე და მომდევნო გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. მოყვანა.

მაგ.. - Waterloo [Ontario] : Leisure Studies Data Inc. ; Chicago : National Opinion Research Center

4.2.3 როდესაც მეორე ან მომდევნო გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. გამოტოვებულია, ეს შესაძლებელია მითითებული იყოს "და ა.შ." ნიშნით ან მისი ეკვივალენტით სხვა შრიფტში, კვადრატულ ფრხილებში.

მაგ. . - Chicago : American Association of Individual Investors [etc.]

4.2.5 გამომცემელი ასევე გამავრცელებელი და ა.შ. შესაძლებელია მოცემული იქნეს შემოკლებული ფორმით, თუკი ამგვარად იგი განისაზღვრება გასაგებად და ორაზროვნების გარეშე.

4.2.10 როდესაც შეუძლებელია გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. დასახელება, ცნობებში ჩაიწერება აბრევიატურა "s.n" (sine nomine) ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე, ჩასმული კვადრატულ ფრხილებში.

მაგ. . - Paris : [s.n.]

. - [S.l. : s.n.]

4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი

4.4.1 მოცემული უნდა იქნეს აღწერის ერთეულის გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი.

მაგ. . - St. Paul (Minn.) : Quanta Press, 1995

4.4.2 როდესაც ერთი და იგივე თარიღი ეხება გამოცემას, გავრცელებს და ა.შ. ან ერთზე მეტ გამომცემელს, გამავრცელებელს და ა.შ., იგი უნდა იქნეს მოცემული უკანასკნელი სახელის (სახელწოდების) ან ფუნქციების ცნობების შემდეგ.

მაგ.

Las Vegas (NV) : Starburst Designs ; San Diego (CA) : Interactive Data Corp.

[distributor], 1994

4.4.3 თუ გამოცემის ან გამოქვეყნების თარიღი განსხვავდება გავრცელების თარიღისაგან, ყოველი თარიღი უნდა იქნეს მოცემული შესაბამისი სახელის ან ფუნქციის ცნობების შემდეგ.

მაგ. . - Seattle (Wash.) : Laser Learning Technologies, 1993 ; Hardwick (VT) : Optical Transfer [distributor], 1995

4.4.5 როდესაც ცნობილია, რომ თარიღი, რომელიც მოყვანილია წყაროში, არ არის სწორი, იგი გადაიწერება ისე, როგორც არის მოცემული და დაემატება შესწორება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. , 1897 [ანუ 1987]

4.4.6 როდესაც წყაროში არ არის გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი, მის ნაცვლად ჩაიწერება საავტორო უფლების ან წარმოების თარიღი. ორივე თარიღს უნდა გაუკეთდეს შესაბამისი შენიშვნა.

მაგ. , cop. 1995

4.4.7 გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღს შესაძლებელია დაემატოს საავტორო უფლების თარიღი, როდესაც ბიბლიოგრაფიული სააგენტო ამას ჩათვლის საჭიროდ.

მაგ.

, 1995, cop. 1993

4.4.8 როდესაც აღწერის ერთეულისათვის შეუძლებელია გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. და საავტორო უფლების ან ფიზიკური წარმოების თარიღების განსაზღვრა, კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. მიახლოებითი თარიღი.

მაგ.

, [ca. 1994]

, [199-?]

4.4.9 მრავალი ნაწილისაგან შედგენილი წყაროს აღწერისათვის, რომელიც გამოიცემოდა ან ქვეყნდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, უნდა იქნეს მოცემული დეფისით შეერთებული პირველი და ბოლო ნაწილების გამოქვეყნების თარიღები.

მაგ. , 1993-1995

4.4.10 როდესაც ასეთი აღწერის ერთეულის ყველა ნაწილი ჯერ არ არის მიღებული, უნდა იქნეს მოცემული პირველი გამოცემული ნაწილის თარიღი, რომელსაც მოსდევს დეფისი. მაგ. , 1995-

5. ფიზიკური აღწერილობის სფერო

წინასწარი შენიშვნა

ქვემოთ მოყვანილი დებულებები აღწერენ ლოკალურ ელექტრონულ წყაროს, ე.ი. წყაროს, რომელიც არსებობს ფიზიკურ მატარებელზე; რომელიც არის განკუთვნილი იმისათვის, რომ მომხმარებელმა კომპიუტერში ან მასთან დაკავშირებულ პერიფერიულ მოწყობილობაში ჩადგას (მაგ. CD-ROM ამძრავი).

თუ აღწერილობაში მოსაყვანია წყაროს მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია წყაროს ტიპის აღნიშვნასთან (მაგ. მონაცემები, პროგრამა) და მოცულობასთან (მაგ. მისი შემადგენელი პროგრამების რიცხვი), ისინი ჩაიწერება სფერო 3-ში.

5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა

5.1.1. ფიზიკური აღწერილობის სფეროს პირველი ელემენტი განსაზღვრავს ფიზიკური ერთეულის ან ერთეულების სახეობას და რაოდენობას, რომლითაც არის წარმოდგენილი წყარო, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი განმარტებით ტერმინების დართვით. მასალის სპეციფიკური აღნიშვნა აღწერს მასალის კონკრეტულ კლასს, რომელსაც განეკუთვნება ფიზიკური მატარებელი.

5.1.2 ფიზიკური ერთეულების რაოდენობა ჩაიწერება არაბული ციფრებით მასალის სპეციფიკური აღნიშვნის წინ. მაგ.

. - 4 electronic optical discs

5.1.3 ცალკეული ოპტიკური დისკოს ფორმატის მახასიათებელი (როდესაც ცნობილია) ჩაიწერება ფრჩხილებში, ელექტრონული ოპტიკური დისკოს მასალის სპეციფიკური აღნიშვნის შემდეგ. შესაძლებელია ოპტიკური დისკების შემდეგი ფორმატების მახასიათებლების ჩაიწერა CD-I, CD-ROM, ფოტო CD.

მაგ.

. - 1 electronic optical disc (CD-ROM)

. - 2 electronic optical discs (Photo CD)

5.2 სხვა ფიზიკური დეტალები

5.2.1 ფიზიკური აღწერილობის სფეროს მეორე ელემენტი არის ცნობა, რომელიც აკონკრეტებს სხვა ფიზიკურ მახასიათებლებს, ფიზიკური მატარებლების ზომების გარდა

5.2.2 აბრევიატურა "sd.", ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით, იწერება შესაბამისად იმ წყაროსათვის, რომელსაც აქვს (უნდა ჰქონდეს) ხმა, ან რომელსაც შეუძლია ხმის წარმოქმნა

მაგ. . - 1 electronic disk : sd.

5.3 ზომები

5.3.1 ფიზიკური აღწერილობის სფეროს მესამე ელემენტია ცნობა ფიზიკური მატარებლის ზომების შესახებ. გამოისახება სანტიმეტრებში და მრგვალდება მეტობით მთელამდე. ტერმინის შემოკლებაა "cm" (ან მის ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით).⁷

5.3.2 ძირითადი ზომებია თვით ფიზიკური მატარებლის ზომები, კონტეინერის, ზომებისაგან დამოუკიდებლად (რაც შეეხება კონტეინერს წყაროთა ნაკრებისათვის (კომპლექტისათვის) იხ. 5.3.3).

5.3.2.1 დისკოსათვის ჩაიწერება დიამეტრი.

მაგ.

. - 1 electronic disk : col. ; 14 cm

. - 1 electronic optical disc ; 12 cm

5.4 ცნობა თანდართული მასალის შესახებ (არ არის სავალდებულო)

5.4.1 ტერმინი "დართული მასალა" გამოიყენება აღწერის ერთეულის ნებისმიერი ფიზიკურად განცალკავებული ნაწილისათვის, რომელიც იქამდე არ იქნა აღწერილი ფიზიკური აღწერილობის სფეროში. ასეთი ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს ორი ან მეტი ურთიერთდამოკიდებული სისტემიდან ერთ-ერთს (მაგ: ელექტრონული დისკი, ხმოვანი ფირით და აღწერილობით), ან შეიძლება იყოს აღწერის ერთეულის მცირე ნაწილი (მაგ: განმარტებითი ბროშურა). შესაძლებელია ცნობა თანდართული მასალის შესახებ ჩაიწეროს მე-7 სფეროში და არა მე-5-ში.

5.4.2 თანდართული მასალა შეიძლება აღიწეროს ან იმავე ტერმინებით, როგორც ის მოცემულია წყაროში ან შესაბამისი სპეციფიკური მასალის აღნიშვნის ტერმინის მეშვეობით.

მაგ.

. - 2 ელექტრონული დისკი ; 14 სმ + 1 ბროშურა.

. - 1 ელექტრონული დისკი (CD-ROM) : sd. ; col. ; 12 სმ + 1 ხმოვანი კასეტა

5.4.3 შეიძლება მოცემულ იქნეს თანდართული მასალის მოკლე ფიზიკური აღწერა მასალის დამახასიათებელი ტერმინის ან მასალის სპეციფიკური აღნიშვნის შემდეგ. მასალა ჩვეულებრივ აღიწერება შესაბამისი ISBD-ს 5.1-5.3 დებულებების თანახმად.

მაგ. . - 2 ელექტრონული დისკი ; 9 სმ + ინსტრუქცია მომხმარებელთათვის (110 გვ. ; 23 სმ)

5.4.4 თანდართული მასალა შეიძლება აღიწეროს აგრეთვე დამოუკიდებლად ან მრავალდონიანი აღწერის მეთოდით (იხ. დანართი ა).

6. სერიის სფერო

წინასწარი შენიშვნა

სფერო 6 გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღწერის ერთეულის ყველა ნაწილი გამოქვეყნებულია (ან გამიზნულია გამოსაქვეყნებლად) ერთსა და იმავე სერიაში ან ქვესერიაში. სხვა შემთხვევაში შეიძლება მოცემულ იქნეს ცნობები სერიის შესახებ მე-7 სფეროში.

⁷ შესაძლებელია ზომების გამოსახვა დუიმებში (შემოკლებდა როგორც in.) სანტიმეტრების ნაცვლად. (მაგ. 3 1/2 in.).

როდესაც აღწერის ერთეული ეკუთვნის ერთზე მეტ სერიას და ან ქვესერიას, სფერო მეორდება. მონაცემთა მიმდევრობა განისაზღვრება ინფორმაციის წყაროების უპირატესობის განსაზღვრის წესით.

6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური

6.1.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური შეესაბამება ძირითად სათაურს სერიის ან ქვესერიის ბიბლიოგრაფიულ აღწერაში, როდესაც იგი აღწერილია როგორც სერიალი, ISBD(S)-ის 1-ლი სფეროს შესაბამისად.

მაგ.

. - (Interactive digital computer teaching models)

. - (Canadian travel surveys)

6.1.2 ძირითადი სათაური ჩაიწერება ისე, როგორც ის არის მოყვანილი ინფორმაციის დაწესებულ წყაროში. ის გადაიწერება ზუსტად სიტყვა-სიტყვით.

მაგ. . - (Sources urbaines canadiennes)

6.1.3. როდესაც ქვესერიას აქვს განმასხვავებელი სათაური, ის ჩაიწერება სფერო 6-ში. მთავარი სერიის სათაური ჩაიწერება სფერო 7-ში.

მაგ. . - (Applied statistics and econometrics ; 27)

შენიშვნა: ძირითადი სერია: Multicollinearity and estimation studies

6.1.4 როდესაც ძირითადი სათაური შედგენილია საერთო სათაურისა და ნაწილის სათაურისაგან ან ქვესერიის დამოკიდებული სათაურისაგან, პირველად იწერება საერთო სათაური, შემდეგ ნაწილის ან ქვესერიის აღნიშვნა და/ან ნაწილის ან ქვესერიის სათაური. საერთო სათაური არ მეორდება სფერო 7-ში.

მაგ.

. - (National income patterns. Series 3, Indonesia)

. - (Mathematics and science series. Concepts ; 2)

. - (Super graphics. Series I ; 2)

6.1.5 როდესაც აღწერის ერთეული წარმოადგენს მრავალნაწილიანი წყაროს ცალკეულ ნაწილს, სერიის ძირითადი სათაური არის მრავალნაწილიანი წყაროს, როგორც მთლიანის, ძირითადი სათაური, აღწერილი ISBD(ER)-ის 1-ლი სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

მაგ.

. - (Dune ; vol. 4)

. - (Selected works of Herman Melville ; vol. 2)

6.2 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური

6.2.1 როდესაც სერიის ან ქვესერიის სათაური გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ჩაიწერება სერიის პარალელური სათაურები

მაგ.

. - (Travaux de recherche en science sociale = Research monographs in the social sciences)

6.2.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, მთლიანი ძირითადი სათაურის შემდეგ ჩაიწერება პარალელური საერთო სათაური და პარალელური დამოკიდებული სათაური.

6.3 სერის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი

6.3.1 სერიის ან ქვესერიის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი (ISSN) უნდა იქნეს მოყვანილი, როდესაც ის ცნობილია და ჩაიწერება შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

მაგ. . - (Elsevier's interactive anatomy, ISSN 0929-2225)

6.3.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება ქვესერიის განმასხვავებელი სათაურისაგან, მთავარი სერიის ISSN ჩაიწერება მის სათაურთან ერთად მე-7 სფეროში.

6.3.3 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, საერთო სათაურის ISSN არ ჩაიწერება მე-6 სფეროში და ჩაიწერება მე-7-ში.
მაგ. . - (Der Landkreis. Ausgabe Hessen, ISSN 0340-3246)

შენიშვნა: მთავარი სერიის ISSN : ISSN 0342-2259

6.4 სერიის ან ქვესერიის ნუმერაცია

6.4.1 აღწერის ერთეულის ნუმერაცია სერიასა ან ქვესერიაში ჩაიწერება იმავე ტერმინებით, როგორც გვხვდება აღწერის ერთეულში.

მაგ.

. - (Multimedia learning series ; vol. 2)

. - (Visit Canada series ; vol. C)

. - (Computer simulation games ; module 5)

6.4.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, საერთო სათაურის ნუმერაცია არ ჩაიწერება. შენიშვნა, სერიის ან ქვესერიის ნუმერაციის თანამიმდევრობაზე, შეიძლება იქნეს ჩაწერილი მე-7 სფეროში.

მაგ.

. - (Contrasts and similarities in siblings. Series A, Young brothers and sisters (12-21) ; no. 1)

შენიშვნა: ძირითადი სერიის ნუმერაცია: no. 6

6.4.3 როდესაც სერიაში შემავალი მრავალნაწილიან წყაროს ნაწილები დანომრილია, ჩაიწერება დეფისით დაკავშირებული პირველი და ბოლო ნომრები და/ან ასოები, თუ ნუმერაცია თანამიმდევრულია. სხვა შემთხვევებში ჩაიწერება ყველა ნომერი/ ასო.

მაგ.

; vol. 10-13

; A, C, M

; 2051-2059

7. შენიშვნების სფერო

შინაარსი

შენიშვნები განმარტავენ და აძლიერებენ ფორმალურ აღწერილობას იქ, სადაც ასეთი აღწერილობის წესები არ იძლევიან რაიმე ინფორმაციის დამატების საშუალებას. ამიტომ შენიშვნები შესაძლებელია დაკავშირებულ იქნენ წყაროს ან მისი შემადგენელი ნაწილების აღწერის ნებისმიერ ასპექტთან.

ყოველი შენიშვნა გამოიყოფა შემდგომი შენიშვნისაგან წერტილით, ინტერვალთ, დეფისით, ინტერვალთ (. -). ეს პუნქტუაცია არ იწერება ან იცვლება მხოლოდ წერტილით, როდესაც ყოველი შენიშვნა იწერება ახალ სტრიქონში.

7.1 შენიშვნები სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობის სფეროს შესახებ

7.1.1 შენიშვნები ძირითადი სათაურის შესახებ.

7.1.1.1 შენიშვნები ნაშრომის თარგმანის ან ადაპტაციის ენის შესახებ.

როდესაც აღწერის ერთეულის შემადგენელი ნაშრომი წარმოადგენს თარგმანს ან ადაპტაციას, პირველწყაროს სათაური ჩაიწერება შენიშვნაში. ამ შენიშვნას შუძლია განსაზღვროს აღწერის ერთეულში გამოყენებული ენა და უზენაეს მისი კავშირი სხვა წყაროებთან.

მაგ.

- . - In German
- . - Screen displays in French and English
- . - Adaptation of: Draculus. 1994

როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს რამდენიმე ინდივიდუალურ ნაშრომს, თარგმანის შენიშვნები შეიძლება ჩაირთოს შინაარსის შენიშვნაში.

7.1.1.2 ძირითადი სათაურის წყაროს შენიშვნები (სავალდებულო)

მაგ.

- . - Title from title screen
- . - Title from container
- . - Title from videodisc label
- . - Title from TEI header

7.1.1.3 შენიშვნები, რომლებიც იძლევიან სათაურის ვარიანტებს და ტრანსლიტერაციას

მაგ.

- . - Title on codebook: New Democratic Party of Ontario, 1967
- . - Title on container: Interactive cells
- . - File name: DUB.1

7.1.2 შენიშვნები აღწერის ერთეულის ხასიათზე, შინაარსზე, მხატვრულ ფორმასა ან დანიშნულებაზე.

ჟანრი ან სხვა ინტელექტუალური კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება აღწერის ერთეული, შეიძლება ჩაიწეროს შენიშვნაში.

მაგ.

- . - Spreadsheet, with word processing and graphics capabilities
- . - Simulation model of the U.S. economy structured after the Wharton Econometric Model

- . - Combined time series analysis and graph plotting system

7.1.3 შენიშვნები პარალელურ სათაურებზე და სხვა ცნობებზე სათაურის შესახებ.

7.1.4 პარალელური სათაურები და სხვა ცნობები სათაურის შესახებ, რომლებიც მოყვანილია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, შეიძლება ჩაიწეროს შენიშვნაში როცა ისინი არ მიესადაგებიან 1-ლ სფეროს.

მაგ.

- . - Sub-title (from container): Gaining financial independence
- . - Parallel title (from title screen): Les techniques de la prévision à court terme

7.1.5 შენიშვნები პასუხისმგებლობის ცნობების შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ პასუხისმგებლობის ცნობებს, ალებულს არა აღწერის ერთეულიდან (იხ. 1.5.4.2); შენიშვნებს პიროვნებების საკუთარი სახელების ან ორგანიზაციების სახელწოდებების ვარიანტების ან გავრცობილი ფორმების შესახებ; შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ნაშრომთან და რომელთა ჩართვა აღწერილობის სხვა სფეროში შეუძლებელია (მაგალითად, რადგან მათი ფუნქცია არ არის განსაზღვრული); შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ნაშრომის ტექნიკურ წარმოებასთან ან ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო ფუნქციებთან და შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან წინა (და არა წინამდებარე) გამოცემებთან.

მაგ.

- . - Animated by Gary Simski ; consultation provided by Micro Industries
- . - Systems designer, Henry Letow ; sound, LF Acoustics
- . - Programmer, Leslie Olfson ; reference manual, Jean Fakourey

7.2 შენიშვნები აღწერის ერთეულის გამოცემის სფეროსა და ბიბლიოგრაფიული ისტორიის შესახებ.

7.2.1 შენიშვნები გამოცემის ცნობის წყაროს შესახებ (სავალდებულოა თუ არსებობს).

გამოცემის ცნობის წყარო უნდა იქნეს აღნიშნული ყოველთვის, როდესაც ის განსხვავებულია სათაურის წყაროსაგან.

მაგ.

- . - Ed. statement from booklet
- . - Ed. statement from disk label

7.3 შენიშვნები, დაკავშირებული წყაროს ტიპსა და მოცულობასთან და სხვა მახასიათებლებთან.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ დამატებით ინფორმაციას წყაროს ტიპის და მოცულობის შესახებ, რომელიც ერთვის მე-3 სფეროში მოყვანილ ფორმალურ ცნობას და შენიშვნებს წყაროს სხვა მახასიათებლების შესახებ.

მაგ.

- . - Program can handle up to 2000 records
- . - File structure: Hierarchical

7.4 შენიშვნები გამოცემის, გავრცელების და ა.შ. სფეროს შესახებ.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ ცნობებს აღწერის ერთეულის სხვა გამომცემლების, გამავრცელებლების და ა.შ. ან სხვა გამოცემის, გავრცელების და ა.შ. გზების შესახებ და დამატებით თარიღებს.

მაგ.

- . - Distributed in the U.K. by: ILIP Services
- . - User's manual distributed by the American Political Science Association, Washington, D.C.

7.5 შენიშვნები სისტემური მოთხოვნებისა და ფიზიკური აღწერილობის სფეროს შესახებ

7.5.1 მოთხოვნები იმ სისტემის თაობაზე, რომლებსაც იყენებს აღწერის ერთეული უნდა იქნეს მოყვანილი ყოველი ლოკალური ელექტრონული წყაროს შენიშვნაში. ეს მოთხოვნები შეიძლება შეიცავდნენ ერთ ან მეტ ტექნიკურ მახასიათებელს, რომლებიც უნდა იქნეს ჩაწერილი ქვემოთ მოცემული სახით და იწყებოდეს ტერმინით "სისტემური მოთხოვნები" კომპიუტერ(ებ)ის სახელწოდება, მოდელი და/ან რაოდენობა

მეხსიერების მოცულობა

ოპერაციული სისტემ(ებ)ის დასახელება

პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნები (მათ შორის პროგრამირების ენა)

პერიფერიული მოწყობილობები

გამოთვლითი მანქანის აპარატული საშუალებების მოდიფიკაციები

პირველი მოთხოვნის გარდა, ყოველი მოთხოვნის წინ იწერება წერტილ-მძიმე.

როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ორ ან მეტ განსხვავებულ ფიზიკურ მატარებელს (მაგ. ინტერაქტიური მულტიმედიის აღწერის ერთეული, რომელიც შეიცავს ელექტრონულ დისკოს და ვიდეოდისკოს), შესაძლებელია შეიქმნას ცალკეული შენიშვნები ყოველი სისტემური მოთხოვნისათვის ან კატალოგიზაციის სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ორივე ფიზიკური მატარებლისათვის ერთი სისტემური მოთხოვნების შენიშვნა გააკეთოს.

მაგ.

- . - System requirements for electronic disk: Macintosh; at least 1MB; System 6.0.5 or later; HyperCard version 1.0 or later; hard disk drive; connector cable (from Macintosh to videodisc player)
- . - System requirements: 386SX processor or higher; 2M RAM (4M recommended); Windows 3.0 or higher; hard disk with 8M free space; VGA adapter; col. monitor; mouse

7.5.2 შენიშვნები ფიზიკური აღწერილობის შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აღწერის ერთეულის დამატებით ფიზიკურ აღწერას. ისინი შეიძლება შეიცავდნენ აგრეთვე შენიშვნებს ფიზიკური მატარებლების ცვლილებების შესახებ; შენიშვნებს აღწერის ერთეულის სხვა მატარებლის ან სხვა კომპიუტერის ან სისტემის ვერსიების სახით არსებობის შესახებ; მონაცემთა ფიზიკური წარმოდგენის შესახებ; აღწერის ერთეულის ჩანაწერის მახასიათებლების შესახებ; კონტეინერების შესახებ.

მაგ.

- . - Also issued for IBM PC and PC compatibles
- . - Available in ASCII and PostScript versions

- . - Still images compressed using JPEG

7.6 შენიშვნები სერიის სფეროს შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს იმ სერიის შესახებ, რომელშიც აღწერის ერთეული იქნა გამოცემული.

მაგ. . - Originally issued in the series: Science today

7.7 შინაარსთან დაკავშირებული შენიშვნები.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აღწერის ერთეულის სარჩევს, საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობის, მოცულობის და სხვ. ცნობების დართვით, შენიშვნებს სხვა დართების შესახებ, როგორებიცაა ინდექსები და ა.შ.

მაგ.

- . - Contents: Cohort file 1. Mature men (45-59 yrs.) ; Cohort file 2. Mature women (45-59 yrs.) ; Cohort file 3. Young boys (14-24 yrs.) ; Cohort file 4. Young girls (14-24 yrs.)

- . - Contents: CD-ROM data (1:29) - The young person's guide to the orchestra (16:27) - Extra audio examples (55:43)

7.8 სარგებლობასთან დაკავშირებული შენიშვნები.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს შეზღუდული გამოცემის ან შეზღუდული გავრცელების შესახებ.

მაგ.

- . - 250 copies issued

- . - Public domain software

7.9 შენიშვნები დაკავშირებული აღწერილობის შედგენისას გამოყენებულ წყაროსთან.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს იმ კონკრეტული გამოცემის შესახებ, რომელზეც დაფუძნებულია დინამიური დისტანციური წყაროს აღწერილობა.

მაგ.

- . - Description based on: Vol. 3, no. 3 (May/June 1995)

- . - Description based on home page dated: 09/06/96

7.10 შენიშვნები რეზიუმესათვის

რეზიუმე ასახავს თემატიკას ფაქტობრივი ანგარიშის და არა შეფასების სახით. ფორმითა და შინაარსით შენიშვნა შეიძლება დაეყრდნოს აღწერის ერთეულში, მის კონტენტში, დოკუმენტაციაში ან თანდართულ ტექსტურ მასალაში არსებულ ცნობებს.

მაგ.

- . - Gives information on higher civil servants in U.S. federal agencies, including personal characteristics, educational background, and occupational mobility

- . - An interactive multimedia tool for studying the human anatomy. Users can select anterior, posterior, medial, or lateral views, each with dozens of layers, as well as specify gender and ethnic appearance

7.11 მომხმარებელთან დაკავშირებული შენიშვნები

ეს შენიშვნები, რომლებიც ჩვეულებრივ აღებულია აღწერის ერთეულში ან აღწერის ერთეულის შესახებ არსებული ინფორმაციიდან, იძლევიან ფაქტობრივ ცნობებს აღწერის

ერთეულის შესაძლებელი ან რეკომენდირებული გამოყენებისა და/ან სავარაუდო მომხმარებლის შესახებ. ამ შენიშვნებში შეიძლება აგრეთვე მოყვანილ იქნეს აღწერის ერთეულის მოხმარების შეზღუდვები.

მაგ. . - For ages 3-6

. - Restricted to municipal law enforcement personnel

7.12 შენიშვნები ნომრების შესახებ

ეს შენიშვნები ეხება ISBN-ებისაგან (იხ. 8.1) განსხვავებულ ნომრებს, რომლებიც გააჩნია აღწერის ერთეულს.

მაგ. . - Additional no. on label: A-096

. - "M1 527" - Container

8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო წინასწარი შენიშვნა

სფერო შეიძლება განმეორდეს, როდესაც აღწერის ერთეულს აქვს ერთზე მეტი სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი,

მაგ.

. - ISBN (მახასიათებელი) : ფასი

. - ISBN (მახასიათებელი) : ფასი. - ISBN (მახასიათებელი) : ფასი

. - ხელმისაწვდომობის პირობები

8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი

8.1.1. ჩაიწერება ISBN ან სხვა სტანდარტული ნომერი, როცა იგი ცნობილია.

8.1.2 სტანდარტულ ნომერს წინ უძღვის ასოები ISBN, ISSN და ა.შ. და გაიშიფრება შესაბამისი სტანდარტის თანახმად.

მაგ. . - ISBN 0-7216-1213-X

8.1.3. როდესაც პუბლიკაციაში სტანდარტული ნომერი მოცემულია არასწორად, ჩაიწერება სწორი ნომერი, თუ იგი ცნობილია, და მის შემდეგ იწერება წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი და არასწორი ნომერი ისე, როგორც არის მოცემული. მას ფრჩხილებში დაერთვის განმარტება "არასწორი" (ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით).

მაგ. . - ISBN 0-340-16427-1. - ISBN 0-340-16437-2 (invalid)

8.1.4 როდესაც აღწერის ერთეულს აქვს ერთზე მეტი სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი, ჩაიწერება ყველა სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი, მათ შემდეგ განმარტებისა და ხელმისაწვდომობის პირობების ან შესაბამისი გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ცნობის მითითებით. ამ ჩამონათვალში ყოველი ცნობის შემდეგ იწერება ". - .".

8.2 ხელმისაწვდომობის პირობები და/ან ფასი (არა სავალდებულო)

8.3.1 შეიძლება ჩაიწეროს ცნობა იმის შესახებ, თუ რა პირობებშია ხელმისაწვდომი აღწერის ერთეული. იმ შემთხვევაში, თუ აღწერის ერთეული გამიზნულია გასაყიდად, მისი ფასი ჩაიწერება ციფრებით ვალუტის აღმნიშვნელ სტანდარტულ სიმბოლოსთან ერთად.

მაგ. : £2.05

: free to educational institutions

8.3.2 ხელმისაწვდომობის პირობების და/ან ფასის განმარტებები იწერება ფრჩხილებში.

მაგ. : £8.16 (£6.25 until 1 Jan. 1996)

CD-ROM-ის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მაგალითები

ამერიკული მაგალითი (ლოკალური ინტერაქტიული მულტიმედიის ელექტრონული წყარო)

Living books framework. Volume 1 [Electronic resource] / Living Books, a Random House/Broderbund Company. - Macintosh/Windows. - Electronic interactive multimedia. - Novato (CA) : Broderbund, cop. 1994.

4 electronic optical discs (CD-ROM) : sd., col. ; 12 cm

2 sound cassettes (16, 23 min.)

System requirements for Macintosh: 4MB RAM; System 6.0.7 or higher; 256 col. monitor; CD-ROM drive.

System requirements for Windows: IBM/Tandy or 100% compatible 386SX or higher with 4MB RAM; Windows 3.1; MS-DOS 3.3 or higher; Super VGA (640 x 486, 256 colours); Sound Blaster or Pro and 100% compatible sound cards; mouse; CD-ROM drive.

Title from container.

Additional accompanying material includes 8 paperback books, 1 manual, 4 user's guides, and 1 troubleshooting guide.

Summary: Designed to help teachers integrate Living books into the language arts curriculum.

Contents: Just grandma and me / Mercer Mayer. - The tortoise and the hare / Aesop. - Arthur's teacher trouble / Marc Brown. - The new kid on the block / Jack Prelutsky.

ქართული მაგალითები:

გალაქტიონი [ელექტრონული რესურსი] :ლიტერატურა თანამედროვე "კარცერ-ლექსისათვის" /ავტორი:კახა დავითური; დირექტორი: მამუკა ხანთაძე; რედაქტორი: აკაკი ხინთიბიძე; რეჟისორი: მიხეილ ქობულაძე; პროგრამისტი: გიორგი ბასილაია; მუსიკალური რედაქტორი ავთო ჩიხრაძე. - ელექტრონული ინტერაქტიული მულტიმედია. – თბილისი:საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი კოსტავას 14; სკოლა ლიცეუმი "როტორი" დიღმის მასივი მე-6 კვ.;კავშირი "ახალი ხელოვნება" ფურცელაძის 11;"სანო სტუდია" ყაზბეგის 44, 2002

1 ელექტრონული ოპტიკური დისკო: ბგერა, ფერადი; კონტეინერში

მინიმალური სისტემური მოთხოვნები: PENTIUM 133; 32 RAM; WINDOWS 98

ბიოგრაფია,დღიურები, ლექსები, ხელნაწერები, ფონოტეკა, ვიდეოთეკა, აუდიოთეკა
სათაური კონტეინერზეა

ISBN 999289380-X

სამხედრო ტერმინთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი [ელექტრონული რესურსი] =

English-Georgian Dictionary of military Terms/ შემდგენელი: ი.ფალიანი, გ.ბახტაძე, დ.პაპავა, შ.ჩხაიძე. - ელექტრონული ინტერაქტიული მულტიმედია. – თბილისი:საქართველოს ევრო-ატლანტური პარტნიორობის ასოციაცია,2001

1 ელექტრონული ოპტიკური დისკო: ბგერა, ფერადი; კონტეინერში

სათაური კონტეინერზეა

CD-ROM – ებზე არსებული ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული მონაცემთა

ბაზის წარმოება PROCITE და BLINK2 პროგრამული უზრუნველყოფით.

მოკლე აღწერა

შესავალი

ინტერნეტი საშუალებას იძლევა მოვიძიოთ საჭირო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა სხვადასხვა პირდაპირი შელწევის ბიბლიოგრაფიულ ბაზებში. სისტემა PROCITE –ის საშუალებით Z39.50 ფორმატში მოძიებული ჩანაწერების რედაქტირებით და შენახვის შიფრის მიწერით CD-ROM – ებზე არსებული ელექტრონული რესურსების ადგილობრივ ბაზაში იქმნება ახალი ჩანაწერი.

ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა PROCITE –ით შესრულებული სამუშაოს მოკლე აღწერა.

მონაცემთა ბაზის შექმნა.

1. მონაცემთა შესატანად სამუშაო ფურცელი შექმნა

სამუშაო ფურცელი შედგება შემდეგი ველებისაგან:

record id, ISBN, ISSN, UDC, DDC, CODEN, Other Classification numbers, Title, Uniform title, Subtitle, Series Title, Series Volume ID, Author, Edition, Corporate author, Meeting name, Author subsidiary, Place of Publication, Publisher Name, Date of Publication, Place of Production, Packaging Method, Extent of Work , Physical details, Dimention, Availability, Location/URL, Notes, Abstract, Keywords, Call Number.

2. BLINK2-ში დამყარდა შესაბამისობა USMARC-ის ველებსა და სამუშაო ფურცლის ველებს შორის, რაც საშუალებას იძლევა ხელთ არსებული CD-ROM-ის რომელიმე ნიშნით ჩავატაროთ ძიება PROCITE –ით პირდაპირი შელწევის ბიბლიოგრაფიულ ბაზებში და შევქმნათ ახალი ჩანაწერი ადგილობრივ ბაზაში.

3. მონაცემთა ბაზის ველების საშუალებით გაკეთდა CD-ROM –ებზე არსებული ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის გამომავალი სამი ფორმა.

სისტემა PROCITE –ით უცხოური CD-ROM –ების ბაზის ჩანაწერების შექმნის ინსტრუქცია:

Procite-ში მენიუ Tools

1. Internet search

2. search for ფანჯარაში ჩაიწერება აღსაწერი ერთეულის რომელიმე დამახასიათებელი ნიშანი. მაგ. სათაური, ISBN და ა.შ.

3. search

4. შესაბამისობის შემთხვევაში:

5. mark list

6. copy marked

7. გამოსულ ფანჯარაში ჩაიწერება ბაზის სახელი
 თუ ძიებისას არ აღმოჩნდა შესაბამისი ჩანაწერი უცხოურ ბაზაში კატალოგიზატორი
 შექმნის ახალ ჩანაწერს მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად.

4. ქვემოთ მოყვანილია შესაბამისობა USMARC-ის ველებსა და ელექტრონული
 რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროების ელემენტებს შორის.

სფერო	ელემენტი	USMARC-ის ველები
1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო	1.1 ძირითადი სათაური	245a
	1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არასავალდებულო)	245h
	*1.3 პარალელური სათაური	246 31 a
	*1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ	245b,n,p,s
	1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ	110a,b 710a,b
2. გამოცემის სფერო	2.1 ცნობები გამოცემის შესახებ	250a
3. მასალის დამახასიათებელი სფერო	3.1 რესურსის აღნიშვნა	256a
4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და ა.შ. სფერო	4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი	260a
	*4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ.	260b
	4.3 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი	260c
5. ფიზიკური აღწერილობის სფერო	5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მისი რაოდენობა	300a
	5.2 სხვა ფიზიკური დეტალები	300b
	5.3 აღწერის ერთეულის ზომები	300c
	*5.4 ცნობები თანმხლები მასალის შესახებ (არასავალდებულო)	300e
6. სერიის სფერო	6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური	440a
	*6.2 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური	246 31 a
	6.3 სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი	440x, 022a

	6.4 ნუმერაცია სერიის ან ქვესერიის შიგნით.	440v
7.შენიშვნების სფერო		538a
8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო	8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი	020a

დანართი: რეკომენდებული ტერმინები.

ქვემოთ მოყვანილია მასალის ზოგადი აღნიშვნის, წყაროს აღნიშვნისა და სპეციფიკური მასალის აღნიშვნის ტერმინები ISBD(ER)-ზე დაფუძნებული ინგლისურენოვანი ჩანაწერებისათვის.

Electronic resource	ელექტრონული წყარო
Electronic data	ელექტრონული მონაცემები
Electronic font data	ელექტრონული შრიფტის მონაცემები
Electronic image data	ელექტრონული გამოსახულების მონაცემები
Electronic numeric data	ელექტრონული რიცხვითი მონაცემები
Electronic census data	ელექტრონული დემოგრაფიული მონაცემები
Electronic survey data	ელექტრონული მიმოხილვითი მონაცემები
Electronic representational data	ელექტრონული დემონსტრაციის მონაცემები
Electronic map data	ელექტრონული კარტოგრაფიული მონაცემები
Electronic sound data	ელექტრონული ხმოვანი მონაცემები
Electronic text data	ელექტრონული ტექსტური მონაცემები
Electronic bibliographic database(s)	ელექტრონული ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზები
Electronic document(s) (e.g. letters, articles)	ელექტრონული დოკუმენტები (მაგ.:წერილები, სტატიები)
Electronic journal(s)	ელექტრონული ჟურნალები
Electronic newsletter(s)	ელექტრონული გაზეთები
Electronic program(s)	ელექტრონული პროგრამები
Electronic application program(s)	ელექტრონული გამოყენებითი პროგრამები
Electronic CAD program(s)	ელექტრონული საპროექტო პროგრამები
Electronic database program(s)	ელექტრონული მონაცემთა ბაზების პროგრამები
Electronic desktop publishing program(s)	ელექტრონული სამაგიდო საგამომცემლო პროგრამები
Electronic game(s)	ელექტრონული თამაშები
Electronic spreadsheet program(s)	ელექტრონული ცხრილების პროგრამები
Electronic word processor program(s)	ელექტრონული სარედაქციო პროგრამები
Electronic system program(s)	ელექტრონული სისტემური პროგრამები
Electronic operating system program(s)	ელექტრონული ოპერაციული სისტემების პროგრამები
Electronic programming language program(s)	ელექტრონული პროგრამული ენების პროგრამები
Electronic retrieval program(s)	ელექტრონული საძიებელი პროგრამები
Electronic utility program(s)	ელექტრონული უტილიტური პროგრამები
Electronic data and program(s)	ელექტრონული მონაცემები და პროგრამები
Electronic interactive multimedia	ელექტრონული ინტერაქტიული მულტიმედია
Electronic online service(s) (e.g. bulletin boards, discussion groups/lists, World Wide Web sites)	ელექტრონული ინტერაქტიული ქსელური სერვისი (მაგ.: ბიულეტენების დაფები, სადისკუსიო ჯგუფები / სიები, ვებ საიტები)
Electronic chip cartridge(s)	ელექტრონული მიკროსქემების კერტრიჯები
Electronic disk(s)	ელექტრონული დისკოები

Electronic optical disc(s)	ელექტრონული ოპტიკური დისკოები
Electronic tape cassette(s)	ელექტრონული ფირების კასეტები
Electronic tape reel(s)	ელექტრონული ფირების კოჭები
Chip cartridge(s)	მიკროსქემების კერტიჯები
Disk(s)	ოპტიკური დისკოები
Optical disc(s)	ოპტიკური დისკოები
Tape cassette(s)	ფირების კასეტები
Tape reel(s)	ფირების კოჭები